

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

წერით მასალაზე მუშაობის მეცნიერული კრიტერიუმები
(თამაზ ჭილაძის - „სარკე ბრმებისთვის“)

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Guranda.gobiani@unik.edu.ge

საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა კონკრეტულ სფეროში წარმატებული კვლევითი მუშაობისათვის აუცილებელ ჩვევებს და უნარებს, პრობლემის საკუთარ და ორიგინალურ ხედვას გულისხმობს. ეს, პირველ რიგში, აკადემიური წერის ტრანსფერულ უნარს ეხება. როგორც აკადემიური წერის სპეციალისტები აღნიშნავენ, არ არსებობს წერის ერთადერთი სწორი გზა და მეთოდი, შეხედულებები და გემოვნება არსებითად განსაზღვრავს და წარმართავს წერის პროცესს, თუმცა მაინც არსებობს ნაშრომის შექმნის გარკვეული ეტაპები და ტექსტზე მუშაობის მეცნიერული კრიტერიუმები, რაც, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტექსტის სწორად აღქმისა და გააზრების თვალსაზრისით. სტატიაში, მხატვრული ტექსტის, კერძოდ, თამაზ ჭილაძის მცირე ზომის პიესის „სარკე ბრმებისთვის“ მაგალითზე, ყურადღება გამახვილებულია წერით მასალაზე მუშაობის რამდენიმე მნიშვნელოვან მეცნიერულ კრიტერიუმზე, კერძოდ: ტექსტის გამოხატვის ფორმებზე, ეპიზოდის აღწერისთვის მოვლენების, საგნების, ნივთების, ცხოველების, ადამიანების გამოყენებასა და მათ მიზნობრიობაზე, თხრობის სტრუქტურაზე, ტექსტის სადისკუსიო მხარესა და ენობრივი სურათების აღწერაზე, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს.

საკვანძო სიტყვები: წერის ტრანსფერული უნარი, მეცნიერული კრიტერიუმები, ენობრივი სურათები, იმაგო, ტექსტის სადისკუსიო მხარე.

საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა კონკრეტულ სფეროში წარმატებული კვლევითი მუშაობისათვის აუცილებელ ჩვევებს და უნარებს, პრობლემის საკუთარ და ორიგინალურ ხედვას გულისხმობს. ეს, პირველ რიგში, აკადემიური წერის ტრანსფერულ უნარს ეხება, რომელიც განათლების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია აკადემიური მიღწევების უზრუნველსაყოფად. წერის პროცესი მრავალ ურთიერთგანსხვავებულ საშუალებასა და კონფიგურაციას აერთიანებს, რაც მეტად რთული პროცესია. ის მოიცავს გარკვეულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აქტივობებს, როგორცაა, მაგალითად: მოსაზრებებისა და შეხედულებების მონიშვნა, ჩანიშვნა; მასალების, წყაროების, დოკუმენტების შეგროვება, დამუშავება; საკვლევი საკითხების მოდიფიცირება; ტექსტზე მუშაობა და სხვა. როგორც აკადემიური

წერის სპეციალისტიები აღნიშნავენ, არ არსებობს წერის ერთადერთი სწორი გზა და მეთოდი, შეხედულებები და გემოვნება არსებითად განსაზღვრავს და წარმართავს წერის პროცესს, თუმცა მაინც არსებობს ნაშრომის შექმნის გარკვეული ეტაპები და ტექსტზე მუშაობის მეცნიერული კრიტერიუმები, რომლებსაც ყველა ავტორი ითვალისწინებს აკადემიურ სივრცეში როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ტექსტის შექმნის პროცესში.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ წერით მასალაზე მუშაობის რამდენიმე მეცნიერულ კრიტერიუმს, რომელთა გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტის სწორად აღქმისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეს ეხება მხატვრულ ნაწარმოებს, სადაც ავტორი არ საუბრობს „ღია ტექსტით“ და ცდილობს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით მიიყვანოს მკითხველი სწორ და ლოგიკურ დასკვნებამდე. როგორც იტალიელი კულტუროლოგი და მწერალი უმბერტო ეკო აღნიშნავს: „ინტერპრეტაციის მიზანიც ხშირად სწორედ ესაა: ექსპლიციტიურად ათქმევინო ავტორს ის, რაც არ უთქვამს, მაგრამ რომ ეკითხათ, სწორედ ასე იმსჯელებდა“ (ეკო 2014: 199).

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ კრიტერიუმებზე:

1. ტექსტის გამოხატვის რა ფორმებს იყენებს ავტორი;
2. ეპიზოდის/სიუჟეტის აღწერისთვის რა საშუალებებს მიმართავს ავტორი (მოვლენის, საგნების, ნივთების, ცხოველების, ადამიანების გამოყენება და მათი მიზნობრიობა);
3. როგორია თხრობის სქემა/სტრუქტურა;
4. ტექსტის სადისკუსიო მხარე;
5. ენობრივი სურათების აღწერა (Theisen, 2011).

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ და მეტი კონკრეტიკისათვის განვიხილოთ მხატვრული ტექსტის, კერძოდ, თამაზ ჭილაძის მცირე ზომის პიესის „სარკე ბრმებისთვის“ მაგალითი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის ღრმა ანალიზი და მხატვრული ღირებულება, არამედ ტექსტის აგების და ტექსტზე მუშაობის ტექნიკური მხარე წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ვიდრე, უშუალოდ, ძირითად საკითხზე გადავიდოდეთ, მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ტექსტის ავტორს. მწერალი, პოეტი და დრამატურგი თამაზ ჭილაძე (1931-2018) თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო წარმომადგენელია. იგი არის რამდენიმე პოეტური (ღია სარკმელი (1958 წ.), მზის საათი (1962 წ.), ივლისი (1966 წ.), მახსოვრობა (1978 წ.), ლექსები (1987 წ.), მზე დეკემბერში (1999 წ.)) და პროზაული კრებულის (გასეირნება პონის ეტლით, შუადღე (1963 წ.), ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე (რომანი, 1965 წ.), თეთრი კვამლი (1967 წ.), აჰა, მიიწურა ზამთარი (რომანი,

1967წ.), მდგმურები (1971წ.), აუზი (1972წ.), წერო, პოსეიდონის სასახლე, კაქტუსის ბაღი (1994 წ.), ბრეიგელის მთვარე (რომანი, 2007 წ.), ესესა და ლიტერატურული წერილის ავტორი და მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ჩეხური, პოლონური და ა.შ). განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის მოღვაწეობა დრამატურგიის სფეროში. ჭილაძის პიესები იდგმებოდა და იდგმება როგორც ქართულ, ისე უცხოურ თეატრებში ისეთი ცნობილი რეჟისორების მიერ, როგორებიც არიან: რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიზო ჟორდანიას და სხვანი.

რაც შეეხება სამეცნიერო კრიტიკას, პირველი გამოხმაურება ეკუთვნის ოტია პაჭკორიას, რომელმაც საკმაოდ პოზიტიური შეფასება მისცა ჭილაძის პროზას (პაჭკორია 1962), შემდეგ იყო გ. გვერდწითელის, თენგიზ ჩხაიძის, გიორგი ზაუტაშვილის და სხვათა კრიტიკული სტატიები მწერლის სხვადასხვა ნაწარმოების შესახებ¹, ასევე გურამ ბათიაშვილის სტატია „თამაზ ჭილაძის პიესები“, რომელშიც ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს ორ პიესას: „აკვარიუმი“ და „მკვლევობა“ და აღნიშნავს, რომ მწერლის პროზას ბევრი რამ შესძინა მისმა დრამატურგიამ (ბათიაშვილი 1982). იგივე თემას ეხება მწერლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი სტატია „სპექტაკლი „თვითგაცოცხლების“ აქტია“ (მაჭავარიანი 2001). რაც შეეხება უახლეს სამეცნიერო კრიტიკას, მიუხედავად მწერლის შემოქმედებისადმი გაზრდილი ინტერესისა, რაც გამოიხატება გამოცემული წიგნების რაოდენობითა და ინტერვიუების სიუხვით (გამომცემლობა ინტელექტმა გამოსცა 10 წიგნი, მათ შორის ინტერვიუების კრებული „სასიცოცხლო სივრცე“ (2016)), უნდა ითქვას, რომ თამაზ ჭილაძის შემოქმედება დღემდე მაინც არ არის სათანადო დონეზე შესწავლილი და შეფასებული თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. იმედს ვიტოვებთ, ავტორის ნაკლებადცნობილი პიესის „სარკე ბრძემისთვის“ აქცენტირებით ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ ამ მნიშვნელოვან საქმეში.

დავუბრუნდეთ კვლევის ძირითად საკითხს. დავიწყოთ მასალაზე მუშაობის პირველი კრიტერიუმის, კერძოდ, ტექსტის გამოხატვის ფორმების შეფასებით, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- განცდების/ემოციების გადმოცემა;
- შერჩეული სიტყვების მიზანშეწონილად, თემატურად გამოყენება;
- ენობრივი სურათები და რეალური (მხედველობითი) სურათები;

¹ იხ. გ. გვერდწითელი, ვარიაციები მარტოობის თემაზე, თბ., 1994, თ. ჩხაიძე, გმირის გამოცდის ცხოვრება, ლიტერატურული წერილები, თბ., 1984, გ. ზაუტაშვილი, რამდენიმე მოსაზრება ქართული რომანის შესახებ, თბ., 1967.

- ფანტაზიის გამოყენება და მისი დამაჯერებლობა.

ქანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, პიესის ავანსცენაზე მხოლოდ ორი პერსონაჟი - პატიმარი და სტუმარი, იგივე პრეზიდენტი. ავტორი ცდილობს მათი დიალოგით და პაუზებით გადმოსცეს ის ემოცია და განცდები, რაც ორივე მხარეს მძაფრად აქვს და რაც მათ, როგორც აბსოლუტურად სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომთ (ერთი პატიმარია, მეორე პრეზიდენტი), აშორებთ და, ამავე დროს, აერთიანებთ. „ახლა უცნაურ შვებას ვგრძნობ,- მიმართავს პრეზიდენტი პატიმარს, - აქ ყოფნა ჩემი ორსაათიანი არდადეგებია, უსაზღვროდ თავისუფალი ვარ. შენ გგონია, მარტო შენ ხარ პატიმარი? დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ“ (ჭილაძე 2014: 391). განცდა, რომელიც მათ აერთიანებთ და ათანასწორებთ არის მარტოობის, დანაშაულის, გაურკვეველობის, მუდმივი შიშის, რომ „სადღაც, რადაცის თუ ვიდაცის სამუდამო მსხვერპლი ხდები“ და სურვილი - ცხოვრების ამ „საშინელ და აბსურდულ თავგადასავლებში“, სადაც „ადამიანობა ნასხვისარი ტანსაცმელივით გეხამუშება“- მაინც ადამიანად დარჩენის, „ადამიანებთან ადამიანური ურთიერთობის“ (ჭილაძე 2014: 390), რაც ასე აკლია ჩვენს საზოგადოებას. „მონატრებული კი ვარ ლაპარაკს, საერთოდ, მეორე ადამიანს. ორი ადამიანის საუბარს ვგულისხმობ, როცა ორივეს სურს ერთმანეთს გააგებინონ, რას ფიქრობენ, როცა საუბარი ორივესთვის თავის გადარჩენის ცდაა იმ საშინელი ურჩხულისაგან, რასაც სიმართლევე ჰქვია და რასაც მარტო ღმერთი უძლებს“ (ჭილაძე 2014: 387). ნაწარმოებში მოქმედი სუბიექტების ემოციების და განცდების სამყარო სოციალურ ფუნქციას ასრულებს და პირდაპირ უკავშირდება ეპოქას. გამოხატვის ფორმად ავტორი ირჩევს პერსონაჟების ემოციურ მგომარეობას და არა ემოციურ ქცევას. ისინი, თითქოს, მიუხედავად მათი ღრმა განცდებისა, ცდილობენ შეინარჩუნონ წონასწორობა და არ ჩავარდნენ აფექტის მგომარეობაში. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი, როცა დამაბულობა პიკს აღწევს, როცა, თითქმის, ყველა კარტი გაშლილია და მათი ფარული ჭიდილის ნასკვი გახსნილია, ისინი ცდილობენ, თავიანთი ინტელექტუალური რესურსის ხარჯზე, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად, ჩვეული „სიმშვიდით“, სიტყვიერი შერკინებით, დაიცვან საკუთარი პოზიციები:

ექსპრესიის, როგორც გრძნობებისა და განწყობის საშუალებად, ტექსტში გამოყენებულია მხოლოდ სწორად, გამიზნულად შერჩეული სიტყვები და ფრაზები. კომუნიკაციის სხვა არავერბალური ტიპის კომპონენტები, როგორიცაა მაგ: ჟესტი, მიმიკა, სიარულის მანერა, სახის კანის ფერის შეცვლა, ოფლდენა და სხვა, ტექსტში არ არის გამოყენებული ემოციური ფონის შესაქმნელად. დიალოგის დაწყებისთანავე პატიმარი, რომელსაც ასე წელი აქვს მისჯილი და უკვე ოცი წელია ციხეში ზის, საუბარს იწყებს

გ. გობიანი

უსასრულობაზე, ლოდინსა და უფუნქციობაზე: „უსასრულობის მსხვერპლი ვართ...უსასრულობაზე ყველაზე მეტს პატიმრები ფიქრობენ. შეიძლება იმიტომ, რომ მთავის ქვეყანა მართო წარმოდგენაში არსებობს, ანუ ეს არის განტოლება, სადაც ყველა წევრი უცნობია...ყველაზე ძნელსა და აუტანელს უკვე შევეჩვიე - ლოდინს...ციხე სხვა არაფერია თუ არა ლოდინი...“ (ჭილაძე 2014: 387,388,389).

ავტორი, ასევე, საკმაოდ კარგად ახერხებს სწორად მიგნებული ფრაზებით და შერჩეული სიტყვებით პერსონაჟების სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის აღწერას და თემატურად გამოყენებას: „ჩემი საკნის ანუ ჩემი სამუდამო სამყოფლის ირგვლივ უსაზღვრო სამყაროა გაშლილი და მეც, საკნიანად, ვტივტივებ ამ უსაზღვროებაში, როგორც ოკეანის ტალღებზე - ბოთლი, რომელშიაც ადამიანია ჩამწყვდეული...შეგიძლიათ შემიწყალოთ, მაგრამ მე ვინ გამათავისუფლებს იმ აბსურდის ქსელიდან, რომელშიაც თავფეხიანად ვარ გახლართული, როგორც ობობას აბლაბუდაში - მწერი“ (ჭილაძე 2014: 404). სტუმრის, იმავე პრეზიდენტის, რეპლიკებში ჭარბობს სტატუსის და თანამდებობის შესაბამისი სიტყვები: კანონი, სამართალი, უსამართლობა, შეწყალება, განაჩენი: „კანონი იმიტომ არსებობს, ცხოვრებისეული სიმართლისგან რომ დავიცვათ თავი. ეს სიმართლე კი დაუნდობელია, შეუძლია მიწასთან გაგასწოროს... რაც უფრო პატარაა პოლიტიკოსი, მით უფრო პრეტენზიულია... არაფერი ისე ხელისშემშლელი არ არის ქვეყნის მართვაში, როგორც სიკეთე, რომელიც შეიძლება მოულოდნელად საერთო ბოროტებად, უბედურებად გადაიქცეს...“ (ჭილაძე 2014: 402,406).

ტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს ენობრივ სურათებს, როგორებიცაა: ბრმების სარკე, ენაადგმული ქანდაკება, პირამიდა, პრეზიდენტის მხრებზე შემომჯდარი პატიმრის უცნაური სანახაობა, რომლებიც ტექსტის გამოხატვის უმნიშვნელოვანესი ფორმებია და ღრმა შინაარსობრივ და აზრობრივ დატვირთვას ატარებენ (უფრო დეტალურად ენობრივ სურათებზე ქვემოთ ვისაუბრებთ). რაც შეეხება ტექსტის გამოხატვის კიდევ ერთ ფორმას - ფანტაზიას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავტორი საკმაოდ დამაჯერებლად იყენებს თავისი სათქმელის გადმოსაცემად. პიესის ფაბულა თავიდან ბოლომდე ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, ფანტასმაგორიაა, რომელსაც, როგორც შემეცნებით-ინტელექტუალური, ისე ერთგვარი დაცვითი ფუნქცია აქვს ნაწარმოების სიუჟეტში. ავტორი ცდილობს განერიდოს არსებულ რეალობას და ცოცხალი სახეებითა და სურათებით შექმნას სასურველი რეალობის „ლოგიკური კონფიგურაცია“- „წინამძღოლის მხრებზე შემდგარი ხალხი ხედავს იმას, რისი დანახვაც უნდა“- და მკითხველიც გახადოს თავისი წარმოსახვის თანაზიარი.

რაც შეეხება ტექსტზე მუშაობის მეორე კრიტერიუმს, ეს არის სხვადასხვა ვითარების ან ეპიზოდის აღწერისთვის მოვლენების, საგნების, ნივთების,

ცხოველებს, ადამიანების გამოყენება, არგუმენტები და მათი მიზნობრიობა. ჩვენ მიერ მაგალითის სახით განხილულ მხატვრულ ტექსტში მხოლოდ ერთი ეპიზოდია, რომელიც ციხის ერთ-ერთ საკანში ხდება. საგნები, რომლებიც ტექსტის შესავალში ჩანს: რკინის კარი, მაგიდა, სკამი, საწოლი, გისოსებიანი სარკმელი, ემსახურება სწორედ ამ ეპიზოდის გახსნას და პირდაპირ შევყავართ ავანსცენაზე, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ორი პერსონაჟია - პატიმარი და მისი სტუმარი, იგივე პრეზიდენტი. ავტორი შეგნებულად არ არქმევს მათ სახელებს და მხოლოდ სტატუსს და თანამდებობას გვაცნობს, რათა უკეთ შეძლოს მათი სახეების განზოგადება. დიალოგში ისინი თავიანთ პოზიციებს რეპლიკებით გამოხატავენ და ცდილობენ საკუთარი არგუმენტებით გაამყარონ. ამიტომაც მათი საუბარი საკმაოდ დამაჯერებელია და მძაფრ ინტერესს აღძრავს მკითხველში.

არსებითი და თემატური დატვირთვა აქვს ტექსტში ერთ მნიშვნელოვან ნივთს, წიგნს - ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელი“, რომელიც, ბუნებრივია, შემთხვევით არ შეურჩევია ავტორს. სწორედ ეს წიგნი, რომელშიც, როგორც ცნობილია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი მოვლენებია გადმოცემული, კრავს კომპოზიციურად ნაწარმოების სიუჟეტს და ნელ-ნელა იწყებს კვანძის გახსნას. სწორედ ეს ერთადერთი წიგნი უდევს მაგიდაზე პატიმარს, რომელიც საყვარელი ქალისაგან დარჩა სახსოვრად „საუკუნო სიმარტოვეში გასაძლებად“ და რომელიც, როგორც ირკვევა, ოდესღაც სტუმრის საკუთრება იყო. აქ უკვე ცალსახად ნათელი ხდება მათი გზების გადაკვეთის მიზეზი - ქალი, რომელზეც სიგიჟემდე იყო შეყვარებული პატიმარი, სტუმრის (ახლა უკვე პრეზიდენტის), ყოფილი ცოლი აღმოჩნდა.

მესამე მეცნიერული კრიტერიუმი წერით მასალაზე მუშაობის არის თხრობის სქემა, სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შესავალ ნაწილს, ძირითად ნაწილს და დასასრულს. შესავალში უნდა გაეცეს პასუხები შემდეგ კითხვებს : ვინ? როდის? სად? რა?. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სათაურს, რომელიც ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ტექსტთან. სათაურის არსსა და ტექსტთან მიმართებას ძალიან კარგად ხსნის ცნობილი რუსი ესთეტი და ლიტერატურათმცოდნე კრჟიჟანოვსკი თავის ნაშრომში „სათაურის პოეტიკა“ (1931): „წიგნი – ეს არის ბოლომდე გაშლილი სათაური, სათაური კი – ორ-სამ სიტყვამდე დაყვანილი მთლიანი ტექსტი“. სწორედ ასეთი დატვირთვა აქვს პიესის მეტად ორიგინალურ სათაურს. მივყვით ნაწარმოების ტექსტს: პირველი, რამაც ჩემი, როგორ მკითხველის, ყურადღება მიიპყრო, იყო სწორედ სათაური - „სარკე ბრმებისთვის“, რომელიც ერთგვარი აბსტრაქციაა და შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც ტექსტის შემადგენელი ელემენტი, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, იმაგო. აქვე, სათაურის ქვემოთ, ავტორი მიუთითებს, რომ სიუჟეტი არ არის

რეალური და მასში მოთხრობილი ისტორია მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. არ უთითებს არც კონკრეტულ დროს და არც ქვეყანას, უთითებს მხოლოდ კონკრეტულ ლოკაციას, ციხის ერთადგილიან საკანს, სადაც მოქმედება ვითარდება. მწერლის მიზანია შექმნას განზოგადებული სახეები, რომელთაც არ აქვთ პერსონიფიკაციის დამადასტურებელი არც სახელი, არც ეროვნება და არც ასაკი, მხოლოდ აქვთ სოციალური სტატუსი და თანამდებობა (პატიმარი, პრეზიდენტი), რომლებიც, როგორი სიმკვეთრითაც განასხვავებთ, ისეთივე სიმკვეთრით აერთიანებთ სულიერი წყვდიადის ასპექტით ამ ორ პერსონაჟს.

რაც შეეხება ტექსტის ძირითად ნაწილს. პიესა იწყება შემდეგი მოქმედებით: პატიმართან, რომელსაც, როგორც ირკვევა, მნახველი დიდი ხანია არ ჰყოლია, შედის სტუმარი. მათ შორის გაიმართება დიალოგი, საიდანაც ნელ-ნელა იკვეთება მნიშვნელოვანი დეტალები. მოქმედების განვითარებას მოჰყვება კვანძის შეკვრა, მჟღავნდება სტუმრის ვინაობა. დამაბულობა იზრდება და ერთი შეხედვით უწყინარი დიალოგი თითქოს შერკინებაში გადაიზრდება, არათანაბარი პირობებით. „...პრეზიდენტისა და პატიმრის შეხვედრა, როგორი მშვიდი და უწყინარიც არ უნდა იყოს იგი, მაინც ბრძოლაა“ (ჭილაძე 2014: 393) - ამბობს პატიმარი. კონფლიქტი კულმინაციას აღწევს უკვე პრეზიდენტის ვინაობის გამხელის შემდეგ, რაც კიდევ უფრო ზრდის და ამძაფრებს ნაწარმოებში ინტრიგას - რა აკავშირებს პატიმარს და პრეზიდენტს? - სადაც იკვეთება რიგი გარემოებები (პატიმრის სიყვარულის ისტორია, პრეზიდენტის რევოლუციონერული წარსული, საბედისწერო შემთხვევა, მკვლელობის იძულებითი აღიარება და სხვა..), რომლითაც ხდება უკვე კვანძის გახსნა. ირკვევა, რომ პრეზიდენტის, წარსულში ყოფილი რევოლუციონერის, დისიდენტის არარსებულ მკვლელობას საფუძვლად ეჭვიანობის მოტივი დაედო და „განტეგების ვაცად“ სწორედ, აწ უკვე, პატიმარი იქცა, რომელიც სიგემდეიყო შეყვარებული რევოლუციონერის უმშვენიერეს ცოლზე. ყოფილი რევოლუციონერი პრეზიდენტისთვის სავსებით ნათელია დადგმული სცენარის მიზანი: „ჩემი თავიდან მოშორება სახელმწიფოს, რასაკვირველია, უნდოდა. ამიტომ ცდილობდა სასამართლო ჩემი მკვლელობა ჩვეულებრივ, ბანალურ კალაპოტში გადაეყვანა - მეტოქეობის და ეჭვიანობის მსხვერპლი ვყოფილიყავი“ (ჭილაძე 2014: 399). სიკვდილმისჯილი უდანაშაულო პატიმარი, რომლის მიმართაც პრეზიდენტის წინამორბედმა „მოწყალება გამოიჩინა და „წამიერი სიკვდილი ასი წლის სიკვდილით“ შეუცვალა, უცებ გამოერკვა: „დიახ დუმილის ტყვე აღმოვჩნდი და ეს გასაძლებად გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ჩემი ერთადგილიანი საკანი“ (ჭილაძე 2014: 401). პრეზიდენტის სტუმრობის მიზანია პატიება სთხოვოს სწორედ ამ „ასი წლისთვის“ და შეწყალება შესთავაზოს უდანაშაულო მსხვერპლს, რომელიც მხოლოდ იმისთვის დაისაჯა, რომ არასაჭირო დროს არასაჭირო ადგილას

აღმოჩნდა. თუმცა პრეზიდენტმა ზუსტად იცის, რომ ადამიანისთვის, რომლისთვისაც „საკანი ციხეს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთადერთ ბუნებრივ თავშესაფარს, ისეთივეა, როგორც, ვთქვათ, ღრუბლისთვის - ცა... რომელსაც ისე შეეჩვია, უიმისოდ არსებობა ვერც კი წარმოუდგენია, უფრო მეტიც - ვერ გრძნობს, ბორკილი რომ ადევს და გათავისუფლებულს უთუოდ, უთუოდ, უთუოდ ისევე ბორკილი მოენატრება“ (ჭილაძე 2014: 405), შეწყალება მორიგი განაჩენი უფროა, ვიდრე წყალობა. ამიტომაც ერთადერთი, რაც შეუძლია გააკეთოს ოცი წლის შემდეგ, არა მხოლოდ უდანაშაულო ადამიანისთვის, არამედ საკუთარი სულის სიმშვიდისთვის, ღამეული „კოშმარებისგან“ თავის დაღწევისთვის, მუხლმოდრეკილი პატიების თხოვნა და სურვილის ასრულებაში დახმარების შეთავაზებაა. ის სთხოვს პატიმარს მხრებზე შეაჯდეს, რათა შეძლოს სარკმლიდან ცის დანახვა და საყვარელი ქალის უკანასკნელი პირობის შესრულება - „როცა ჩემზე იფიქრებ, ცას შეხედე“ (ჭილაძე 2014: 410).

დეტალების აღწერით ნელ-ნელა ტექსტში მოთხრობილი ამბავი უახლოვდება დასასრულს. დაძაბულობა მოხსნილია, კვანძი გახსნილია, კითხვებზე პასუხი გაცემულია, პატიმარს და სტუმარს უკვე კარგად ესმით ერთმანეთის ტკივლი და ხედავენ, რომ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი რამ აერთიანებთ და ამავე დროს, აპირისპირებთ - საკუთარი ცხოვრების ტყვეობა და წყვდიადი, რომელშიაც ისინი აღმოჩნდნენ, მათი სამყოფელი (ციხე, კაბინეტი), მათი განსაცდელ-განსაწმენდელი, სარკე ბრმებისთვის, და ილუზიური, წარმოსახვითი სამყარო, სადაც პირველად ხდებიან ყველაზე „ლოგიკური კონფიგურაციის“ მომსწრენი - „წინმძღოლის მხრებზე შემდგარი ხალხი ხედავს იმას, რისი დანახვაც უნდა“, სადაც პრეზიდენტის შეთავაზებულ შეწყალებას არ იღებს უდანაშაულო მსხვერპლი (პატიმარი), რადგან ეშინია „ოცი წლის მანძილზე, კენჭი-კენჭ, ოცნებით და ილუზიებით“ აშენებული სამყარო არ დაემსხვრეს ნამდვილ ცხოვრებაში. სტუმრისთვის, იგივე პრეზიდენტისთვის ეს „ახირება“ სავსებით გასაგები და მისაღებია, რადგან მან კარგად იცის, რომ პატიმრის მიერ „წარმოდგენებით შექმნილი სამყარო უფრო ადამიანურია, ვიდრე ნადვილად არსებული, ამიტომ სწორედ ადამიანები ვერ გაგიგებენ, თანაგრძნობაზე ლაპარაკიც ზედმეტია“ (ჭილაძე 2014: 415). ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს ლოგიკურად მივყავართ ფინალურ სცენამდე - დაუპატიჟებელი „სტუმარი“ ტოვებს საკანს, თითქოსდა, მძიმე ლოდისგან გათავისუფლებული და უკანასკნელად მიმართავს „მასპინძელს“:

ისიც მინდა გითხრა - ერთადერთი პატიმარი ხარ პატიმართა შორის, ვისაც ჩემთვის შეწყალება არ უთხოვია.

(კარზე აკაკუნებს. ისმის, როგორ აღებენ კარებს)

- (მოუბრუნდება) მგონი, ცოცხალი გავდივარ აქედან!

- (კარი იღება)

პატიმარი. (წამოდგება) მშვიდობით, ჩემო პრეზიდენტო!

სტუმარი. შენ რა, იცინი?

პატიმარი. არა, ვტირი... (ჭილაძე 2014: 415).

სტუმრისთვის, იმავე პრეზიდენტისთვის, იგივე ხელისუფალისთვის, ვის ხელშიც არის ძალაუფლება, მიუხედავად თანაგრძნობისა და თანადგომის სურვილისა, მაინც შეუცნობელი რჩება სამუდამო ტყვეობაში, „მარადიულ ჯოჯოხეთში“ დარჩენილი, მარტოსული ადამიანის სულის მდგომარეობა, რაც მის სახეზე აღიბეჭდა დამშვდობებისას. პრეზიდენტისთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა მათი დიალოგის დასასრულს პატიმარი იცინოდა თუ ტიროდა?!

მეოთხე მეცნიერული კრიტერიუმი გახლავთ წერითი ტექსტის სადისკუსიო მხარე, რომელიც სქემის სახით შეიძლება გამოიხატოს ისე, როგორც 1–ელ სქემაშია მოცემული (სქემა1). პიესა 2012 წელსაა დაწერილი და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ არა არის შესწავლილი სამეცნიერო კრიტიკის მიერ. ჩვენი სტატია არის, ფაქტობრივად, პირველი მოკრძალებული მცდელობა, წერით მასალაზე მუშაობის მეცნიერული კრიტერიუმების ჭრილში, ტექსტის ანალიზის, ამდენად, განსხვავებული პოზიციის და შეფასების არარსებობის გამო, შევეცდებით შემოგთავაზოთ მხატვრული ტექსტში არსებული საკითხების შესახებ საკუთარ მსჯელობა. გარდა ამისა, სადისკუსიო ნაწილში ყურადღება გამახვილდება წერით მასალაზე მუშაობის პროცესში ტექსტის აღქმის ისეთ საყურადღებო ფაქტორებზე, როგორებიცაა:

- ხელმისაწვდომობა
- ყოვლისმომცველობა
- რამდენად ადვილად იკითხება
- შესრულების თვალსაზრისი
- კრიტიკული შეფასება
- სარგებლიანობა (Theisen 2011).

პირველი და მნიშვნელოვანი გახლავთ პრობლემის აღწერა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი მიზანი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არის მხატვრული ტექსტის სიღრმისეული ანალიზი. ამდენად, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ძირითად ასპექტებზე. როგორც თავად აღნიშნავს ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში, მისი შემოქმედების ცენტრალური ფიგურა ადამიანია. ყველა დანარჩენი კონკრეტული პრობლემა, რომელიც ტექსტშია გამოკვეთილი, ავსებს და ავითარებს მთავარ პრობლემურ საკითხს. ტექსტში მნიშვნელოვანია დასმული პრობლემის ფსიქოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური ასპექტები. ფსიქოლოგიურ ასპექტებს, გარკვეულწილად, ზემოთ უკვე შევხეთ სხვადასხვა კრიტერიუმის განხილვის დროს, რაც შეეხება სოციალ-პოლიტიკურ ასპექტს, ნაწარმოებში აშკარად მკვეთრად და

საკმაოდ მუქი კონტურებით იკვეთება ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორია და ეპოქა. ავტორი ფოტოგრაფიული სიზუსტით, აღწერს და გადმოსცემს ჩვენი ქვეყნის ქრონიკებს: უდანაშაულო მსხვეპლის ისტორია, ძალით მოპოვებულ აღიარება, შეთითხნილი ბრალდებები, ღირსების გათელვა, არაადამიანური წამების სცენები, ე.წ. „ციხის კადრები“ და შიში, რომელმაც ქვეყანაში დაისადგურა. ამდენად, ტექსტის აღქმის და გაგების ზემოთ ჩამოთვლილი სამი ფაქტორი (ხელმისაწვდომობა, ყოვლისმომცველობა, რამდენად კარგად იკითხება) სრულად გათვალისწინებული აქვს ავტორს წერით მასალაზე მუშაობის პროცესში.

პრობლემის ორივე ასპექტის ამოსავალი წერტილი არის მაინც პიესის სათაური, სარკე ბრმებისთვის, რომელიც ტექსტის კონცეპტუალური ნარატივის ერთგვარი იმაგოა. ნაწარმოებში ორი მხარეა, „განტოლების იქსი და იგრეკი“ (ჭილაძე 2014: 387) და პოზიტივიც და ნეგატივიც ერთმანეთშია გადახლართული. ერთ მხარეს დგას პოსტრევოლუციური ქვეყნის „მონაპოვარი“ - უდანაშაულო, გარემოების მსხვერპლი, პოლიტიკური ინტრიგებისა და ხელისუფალთა უსუსურობის, უნიათობის გამო განწირული ადამიანია, პატიმარი, განზოგადებული, ტიპურის სახეა საზოგადების იმ ნაწილისა, რომელიც რევოლუციური დუდილის დროს თავისი სისუსტის გამო (ამ შემთვევაში სიყვარული აღმოჩნდა გმირის სისუსტე) ფსკერზე აღმოჩნდა და განტევეების ვაცად იქცა თვითდამკვიდრებისთვის მეზრძოლი ძალისთვის. მეორე მხარეს დგას პატიმრის დაუპატიჟებელი სტუმარი, იგივე პრეზიდენტი, ყოფილი მეამბოხე, დისიდენტი, მძიმე წარსულის მქონე, რევოლუციის მონაპოვარი „ახალი ძალა“, რომელიც, თითქოს, ცდილობს გამოისყიდოს „ძველი ძალის“ ცოდვები, ფარდა ახადოს საიდულოს და სინათლე შეიტანოს პატიმრის წყვედიადით მოცულ სულში, რითაც, როგორც ფინალური სცენიდან ჩანს, სკუთარი იარების მოშუშებასა და სინდისის დამშვიდებას უფრო ახერხებს, ვიდრე რეალური სურათის შეცვლას. პრეზიდენტის მცდელობა, როგორც პატიმარი აფასებს, ოცი წლით დაგვიანებული „დიდსულოვნების აქტია“ და მეტი არაფერი: თქვენს სიკეთეს ნაფტალინის სუნი ასდის, დაგვიანებულია და, გიმეორებთ - ნუ გეწყინებათ, ღიმილის მომგვრელიც“ (ჭილაძე 2014: 394).

ეს რაც შეეხება ნეგატივს, თუმცა ავტორი, მიუხედავად პატიმრის სკეპტიკური დამოკიდებულებისა, ცდილობს პრეზიდენტის ფიგურა დაგვანახოს მთლიანობაში, თავისი ადამიანური სისუსტეებითა და სიძლიერეებით, კარგითა და ცუდით, სანამ „ქანდაკებად იქცევა“, რაც, როგორც თავადაც კარგად იცის, მისი „გარდაუვალი დასასრულია“. არაფერი იცვლება სამყაროში: „მერე რევოლუცია, მერე ფარული, შიდა ომი თანამებრძოლებს შორის, მეგობართა გვამებზე გადაბიჯება... მოკლედ არაფერი ახალი“

გ. გობიანი

(ჭილაძე 2014: 401). ნაწარმოებში დასმულ საკითხები ძალზე თემატური და აქტუალურია ჩვენი ქვეყნის როგორც წარული, ისე თანამედროვე ცხოვრებისთვის. კერძოდ, ეს ეხება რევოლუციისა და ძალაუფლების თემას. ტექსტში მოცემული ენობრივი მასალა ზუსტად გამოხატავს ამ ორი ცნების არსს და შინაარსს: „რევოლუციების მოთოკვა, მოშინაურება ვერ ვისწვალეთ. რევოლუციის იმედით ჩემი მტერი იყოს! რევოლუცია ხალხს ბრბოდ გარდაქმნის ხოლმე, თუ ვერ შეძელი და ბრბოდ ქცეულ ხალხს ისევ ხალხობა ვერ დაუბრუნე, საშინელებას მოიმკი. ბრბო მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რომ პირამიდა აგიშენოს, შენი სამუდამო განსასვენებელი“ (ჭილაძე 2014: 408), ამიტომაც რევოლუციის შედეგად მოპოვებული ძალაუფლება, შესაძლოა, გაცილებით მტანჯველი აღმოჩნდეს, ვიდრე, თუნდაც, ასი წლის პატიმრობა! „არავინ ისე უმწეო არ არის, როგორც ის, ვის ხელშიაც მთელი ძალაუფლებაა მოქცეული. ამას თვითონ გრძნობს. თანდათან ნადგურდება, კნინდება, პატარავდება, თანდათანობით შედის ცდუნების მდინარეში...“ (ჭილაძე 2014: 407). ტექსტში აშკარად იკვეთება ჩვენი საზოგადოების თანამედროვე ყოფა, რაც პოსტრევოლუციური ქვეყნის ნათელს სურათს ქმნის და უნარჩუნებს პიესას ინტერესსა და აქტუალობას.


ბოლოს, სადისკუსიო ნაწილი შეგვიძლია დავასრულოთ იმით, რომ მიუხედავად ავტორის სკეპტიციზმისა და მინორული განწყობისა, ჩვენი აზრით, მაინც შესაძლებელია ფინალურ სცენაში გარვეული კომპრომისული დამოკიდებულების დანახვა და ამას მწერალი მხოლოდ ერთი სიტყვათა შეთანხმებით ახერხებს - „ჩემო პრეზიდენტო!“.

წერით მასალაზე მუშაობის ბოლო კრიტიკიუმი, რომელზეც ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, არის ენობრივი სურათების აღწერა, რაც ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტექსტის აღქმის და გააზრების თვალსაზრისით. სურათების (ენობრივი, ვიზუალური) შეფასების დროს აქცენტი კეთდება შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- რისი ამოცნობა შეიძლება
- რამდენად ნათლად არის გამოხატული
- რა ინფორმაციას შეიცავს

ჩვენ მიერ შერჩეულ მხატვრულ ტექსტში ძალიან საინტერესო ენობრივი სურათებია მოცემული. განსაკუთრებით ეს ეხება ბრმების სარკეს, რომელიც სათაურად აქვს გამოტანილი ავტორს. ის ლოგიკურ ბმაშია ნაწარმოების ტექსტთან და მთლიანობაში კრავს მწერლის სათქმელს: „ციხემ კიდევ ერთი რამ - საკუთარ თავთან ლაპარაკი მასწავლა. ამ ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ველაპარაკებოდი. ციხე წყვილია, შეიძლება ითქვას, ბრმების სარკეა, რომელშიაც მთელი სამყარო მოსჩანს, ოღონდ სულ სხვანაირად დანახული, შეიძლება ნამდვილი სახით, ვინ იცის“ (ჭილაძე

სქემა 1.



2014: 393). ეს ენობრივი სურათი ყველაზე ნათლად და ცხადად წარმოაჩენს ნაწარმოების მთავარი გმირების სულიერ სამყაროს: „სამივე ერთნაირ, მსგავს ვითარებაში აღმოვჩნდით, ანუ ჩვენ ჩვენს სიმარტოვეში - ის- სამარეში, შენ - საკანში, მე კი - პრეზიდენტის სავარძელში“ (ჭილაძე 2014: 401). ბრძემის სარკეს პირდაპირ უკავშირდება მეორე ენობრივი სურათი - ენადგმული ქანდაკება, როგორც ადამიანის გამოხატულება, რომელიც „საკუთარ თავში სულ რაღაცის გადარჩენას ცდილობს, რაღაც ძალზე მნიშველოვანის, ოღონდ არ იცის, რა არის ის, ვერაფრით დაურქმევია მისთვის სახელი, სიტყვები არ ყოფნის... აუცილებელი სიტყვების მარაგი არ გააჩნია“ (ჭილაძე 2014: 412). სიჩუმესთან და არარაობის შეგრძნებასთან ასოცირდება როგორც ენობრივი სურათი პირამიდა, ასევე რეალური სურათი რამზესის პირამიდა, რომელიც საყვარელმა ქალმა დაუტოვა პატიმარს მასთან იდუმალი და მარადიული კავშირის სიმბოლოდ.

საყურადღებო აზრობრივი დატვირთვა და ქვეტექსტი აქვს ნაწარმოებში მკითხველის თვალწინ დახატულ წარმოსახვით სურათს - პრეზიდენტის მხრებზე შემომჯდარი პატიმარი გაჰყურებს ცას - რითაც ავტორი ხაზს უსვამს ორი, აბსოლუტურად სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომი, ადამიანის სულიერ მდგომარეობას, რომელთაც სინდისის ქეჯნა, მარტოობის განცდა, წყვილიადად მოცული სამყარო და ქალი აერთიანებთ და აპირისპირებთ ამავედროულად. იდუმალ ქალში, რომელიც ერთგვარი სურათ-ხატი ნაწარმოებში, თითქოს ორი ქალის, სამყაროს ორი საწყისის სახეა პერსონიფიცირებული - პატიმრის დედის, რომელიც მის მშობიარობას გადაჰყვამ და საყვარელი ქალის, რომლის სიყვარულიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის: „ უცნაურია, გაცნობის პირველი დღიდან ვიცოდი, რომ უცებ გაქრებოდა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ შემთხვევით იყო მოსული ამქვეყნად, თითქოს გზა აერია და სხვაგან წასასვლელი, ჩვენთან აღმოჩნდა“ (ჭილაძე 2014: 409). საბოლოო ჯამში, სწორედ ქალის იმაგო ავსებს და ავითარებს პერსონაჟების სახეებს და კომპოზიციურად კრავს მთლიან ტექსტს, როგორც სიმბოლო ჭეშმარიტების, სინათლის, გონიერების, სიყვარულის და იმედის. ყველაზე რთულ მომენტში სწორედ მათი სახეები ევლინებიან მხსნელად უდანაშაულ მსხვერპლს. ხშირად პატიმრის წარმოსახვასა და სიზმრებში ერთმანეთშია არეული დედისა და საყვარელი ქალის ხმა: „ნელა ირწევა, ლოცულობს და რაღაც, ჩემთვის უცნობ რიტუალს ასრულებს, თან დედაჩემი ხმით ზემუს -ააააააოოოოო აააააოოოოო...“ (ჭილაძე 2014: 409), წორედ ისინი არიან ამ მოჩვენებით და უსამართლო სამყაროში ყველაზე ნათელი და ნამდვილი, რაც გააჩნია სამუდამო მარტოობისთვის განწირულ „დუმბილის ტყვეს“.

დასასრულ, წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ თამაზ ჭილაძის მხატვრული ტექსტის ენობრივი

მასალის განხილვა და ანალიზი, ზემოთ მოყვანილი მეცნიერული კრიტერიუმების გათვალისწინებით, იძლევა მყარ საფუძველს, ნაწარმოები შეფასდეს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში და ღირსეული ადგილი დაიკავოს სამეცნიერო კრიტიკაში. იმედს ვიტოვებთ, ჩვენი მცდელობა გაზრდის ინტერესს მწერლის ბოლოდროინდელი დრამატული ნაწარმოების მიმართ და იქნება ახალი იმპულსის მიმცემი შემდგომი კვლევითი პერსპექტივისათვის.

მხატვრული ტექსტის რეცეფციამ ცხადყო, რომ ზემოთ განხილული მეცნიერული კრიტერიუმები იძლევა შესაძლებლობას წერითი მასალა აღქმული და გააზრებული იქნეს საკმაოდ სიღრმისეულად, ფოკუსირება მოხდეს დეტალებზე, სწორად დაისვას აქცენტები და შეფასდეს ობიექტურად, რაც, საბოლოო ჯამში, სძენს მხატვრულ ნაწარმოებს ინტერკულტურულობას და განსაზღვრავს მის ადგილს კულტურათაშორის კომუნიკაციაში.

ლიტერატურა

ბათიაშვილი, გურამ. 1982. *თამაზ ჭილაძის პიესები*. ჟურნალი „მნათობი“, თბილისი: N9,1982: 146-155.

ეკო, უმბერტო. 2014. *როგორ დავეწროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნელი სალომე კენჭოშვილი, თბილისი: გამომცემლობა არეტე.

მაჭავარიანი, ნინო. 2001. სპექტაკლი „თვითგაცოცხლების“ აქტია. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, თბილისი. N3, 2001: 49-55.

პაჭკორია, ოტია. 1962. „შუადღის“ ილუზიები, ჟურნალი „ცისკარი“, თბილისი: N12, 1962: 128-140.

ჭილაძე, თამაზ. 2014. *ჩემი თეატრი*, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“. ჭილაძე თამაზ. 2016. *სასიცოცხლო სივრცე (ინტერვიუების კრებული)*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

Theisen, Manuel Rene. 2011. *Wissenschaftliches Arbeiten, Technik - Methodik – Form*, München: Verlag Vahlen, Franz, aktualisierte und ergänzte Auflage.